26.01.2021

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში

2020 წლის დეკემბერი

ძირითადი შედეგები

- **მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე** წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0.1 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 0.7 პროცენტით;
- **სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი** წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით შემცირდა 0.2 პროცენტით;
- **მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე** წინა თვესთან შედარებით შემცირდა 2.0 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 0.4 პროცენტით.

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები



26.01.2021

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე **წინა თვესთან შედარებით** შემცირდა 0.1 პროცენტით. საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე დაფიქსირდა ფასების 0.2 პროცენტიანი შემცირება. ამასთან, ფასები შემცირდა სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე 0.02 პროცენტით, ხოლო დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 0.6 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი შემცირდა 0.7 პროცენტით. აღსანიშნავია ფასების შემცირება საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 26.4 პროცენტით. ამასთან, სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 5.0 პროცენტით, ხოლო დასაწყობებისა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურების ფასები 12.6 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის დეკემბერში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის დეკემბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**99.3**	**-0.70**
49	სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება	105.0	3.94
51	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	73.6	-4.92
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება	112.6	0.28

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

26.01.2021

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** არ შეცვლილა.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი შემცირდა 0.2 პროცენტით. ფასების შემცირება დაფიქსირდა სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე (-3.6 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის დეკემბერში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის დეკემბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**99.8**	**-0.22**
61.9	სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება	96.4	-0.22

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

26.01.2021

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე **წინა თვესთან შედარებით** შემცირდა 2.0 პროცენტით. აღსანიშნავია ფასების შემცირება საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე 2.2 პროცენტით, ხოლო დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 1.3 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაზრდილია 0.4 პროცენტით. საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფასები გაიზარდა 4.1 პროცენტით, ხოლო დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურების ფასები შემცირდა 8.4 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის დეკემბერში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის დეკემბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**100.4**	**0.35**
55	მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით	91.6	-2.50
56	მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით	104.1	2.85

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი:
გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge